საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MINISTRY OF ECONOMY AND SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტო

**PUBLIC LAW LEGAL ENTITY
TECHNICAL AND CONSTRUCTION
SUPERVISION ACANCY**

0186, თბილისი, ჯიქიას ქ. N8 ტელ: (+995 32) 293-27-32 WEB: www.TACSA.gov.ge ს/კ 202466991
8, Jiqia Str. 0186 Tbilisi, Georgia Tel: (+995 32) 293-27-32, Fax: (+995 32) 293-27-32
Email: tacsa@economy.ge

KA020172110102817

№ 09/30

10 / იანვარი / 2017 წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის პროგრამის დირექტორს
ქალბატონ ლია თოდუას
ასლი: საქართველოს პარლამენტის ადამიანის
უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო
ინტეგრაციის კომიტეტს

ქალბატონო ლია,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ა/წ 9 იანვრის N07/92 წერილით გადმოგვეცა შემდგომი რეაგირებისათვის თქვენი 2016 წლის 21 ნოემბრის N2-937 წერილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/1527 ბრძანების შესაბამისად, სათამაშოებზე ზედამხედველობა სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს კომპეტენციაში არ შედის.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმების პირველი დანართით განსაზღვრული საკანონმდებლო დაახლოების ცხრილის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ (2009/48/EC) ევროკავშირის ახალი მიდგომის დირექტივასთან გათვალისწინებულია 2019 წლისათვის. ამდენად, ბაზარზე ზედამხედველობა აღნიშნულ პროდუქტზე განხორციელდება შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცებისა და ამოქმედების შემდგომ.

პატივისცემით,

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი

გრიგოლ კაკაურიძე